„დინამოს" სტადიონი • Стадион „Динамо"

5
ნოემბერი
НОЯБРЯ

სსრ კავშირის
თასი

«ДИНАМО»
(თბილისი) —

«СПАРТАК»
(მოსკოვი)

КУБОК СССР
„ДИНАМО" (Тбилиси) — „СПАРТАК" (Москва)

დასაწყისი 15 საათზე
Начало в 15 часов

ФУТБОЛ
ფეხბურთი

თბილისი - 1959 - Тбилиси

footballprogs.net

საინტერესო

მატჩი

თასზე

ფეხბურთის ისტორიაში არის მატჩები, რომელთა დავიწყება შეუძლებელია. გულშემატკივრებს ისინი დიდხანს რჩებათ მეხსიერებაში. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს 1936 წლის მეოთხედფინალური მატჩი სსრ კავშირის თასზე, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკი“ და უძლიერესთა ჯგუფის დებიუტანტი — თბილისის „დინამო“.

პირველი მატჩი შედგა 19 აგვისტოს. მოსკოველები წინ იყვნენ ანგარიშით 3:1 და მათი გამარჯვება თითქოს ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ თბილისელებმა შეძლეს გარდატეხის შეტანა თამაშში და გაქვითეს ორივე გოლი — 3:3.

მეორე დღეს შედგა გადათამაშება. ამჯერად იმავე ანგარიშით—3:1 წინ იყვნენ დინამოელები და მაშინ, როცა მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, „სპარტაკმა“ ზედიზედ გაიტანა ორი გოლი — 3:3. დაინიშნა დამატებითი დრო 30 წუთი. თბილისელმა ფეხბურთელებმა შესანიშნავად ჩაატარეს იგი და მიაღწიეს ბრწყინვალე გამარჯვებას ანგარიშით 6:3. იმდროინდელი გაზეთები წერდნენ, რომ ამ მატჩში თბილისის „დინამომ“ მიიღო ოსტატობის „პასპორტი“.

მაგრამ ეს არ იყო მოსკოვის „სპარტაკისა“ და თბილისის დინამოელთა უკანასკნელი შეხვედრა თასის გათამაშებაში. 1939 წელს მოსკოველებმა მძიმე და დაძაბული ბრძოლის შემდეგ ნახევარფინალში დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 3:2, ხოლო 1945 წელს თბილისელებმა აიღეს რევანში ანგარიშით 2:1.

1946 წელს თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „სპარტაკი“ თასის ფინალში გავიდნენ. მაშინ თბილისელები სულ ახლოს იდგნენ გამარჯვებასთან, მაგრამ როცა ანგარიში იყო 2:1 მათს სასარგებლოდ, „დინამოს“ თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის უადრესად ხელსაყრელი შესაძლებლობანი, ხოლო მოსკოველებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება — 2:2.

დამატებით დროში „სპარტაკის“ ნახევარმცველმა ო. ტიმაკოვმა გაიტანა ბურთი, რომელმაც მატჩისა და თასის ბედი გადაწყვიტა მოსკოველთა სასარგებლოდ — 3:2.

1948 წელს ძველი მეტოქენი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს (თასის მეოთხედფინალში) და გამარჯვება კვლავ სპარტაკელებმა მოიპოვეს — 2:1.

და აი დღეს თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „სპარტაკი“ კვლავ ხვდებიან ერთმანეთს. მოწინააღმდეგეებმა უკვე ჩაატარეს თითო მატჩი. თბილისელებმა ანგარიშით 4:3 დაამარცხეს კიროვის თანაკლუბელები, ხოლო „სპარტაკმა“ მოუგო ირკუტსკის „ენერგიას“ — 3:0.

* * *

სსრ კავშირის თასის გათამაშების ისტორიაში ეს საპატიო პრიზი მოპოვებული აქვს 7 გუნდს. ესენია მოსკოვის გუნდები: „ლოკომოტივი“ — 2-ჯერ (1936 და 1957 წ წ.), „დინამო“ — 2-ჯერ (1937 და 1953 წ წ.), „სპარტაკი“ — 6-ჯერ (1938-1939-1946-1947-1950-1958 წ წ.), ცსკ მო-4-ჯერ (1945 - 1948 - 1951 - 1955 წ წ.), „ტორპედო“ — 2-ჯერ (1949-1952 წწ.) ლენინგრადის „ზენიტი (1944 წ.) და კიევის „დინამო“ (1954 წ.).

footballprogs.net

СЕТКА ФИНАЛЬНЫХ ИГР

на кубок СССР

1. «Спартак» (Вильнюс)
2. «Адмиралтеец» (Ленинград)

„Спартак“ 3 : 1

3. СКВО (Ростов—на-Дону)
4. «Шахтер» (Сталино)

5. «Динамо» (Тбилиси)
6. «Спартак» (Москва)

7. «Ширак» (Ленинакан)
8. «Молдова» (Кишинев)

„Ширак“ 2 : 1

9. «Сибэл-мотор» (Томск)
10. «Торпедо» (Москва)

„Торпедо“ 2 : 1

11. «Динамо» (Москва)
12. ЦСК МО

13. СКВО (Тбилиси)
14. СКВО (Одесса)

15. «Трактор» (Сталинград)
16. «Строитель» (Уфа)

„Трактор“ 4 : 0

footballprogs.net

СОСТАВЫ КОМАНД НА 5 НОЯБРЯ

„Спартак“ (Москва)

Старший тренер Н. ГУЛЯЕВ
Капитан команды Н. СИМОНЯН

1 Ивакин
3 Масленкин
2 Солдатов
4 Крутиков
5 Корнеев
6 Нетто
7 Мишин
Мозер 8
9 Симонян
Сальников 10
11 Ильин

Месхи 11
10 Гогоберидзе
Калоев 9
Мелашвили 7
8 Баркая
Яманидзе 6
Зейнклишвили 5
Хочолава 4
Чохели 2
3 Тораизе
Котрикадзе 1

Старший тренер А. ЖОРДАНИЯ
Капитан команды А. ГОГОБЕРИДЗЕ

„Динамо“ (Тбилиси)

О возможных изменениях в составах команд слушайте по радио.

Ѳ360 50 ѲѲ3. Цена 50 коп.

Зак. 1362 тираж 10.000. УЭ 06994.

footballprogs.net